




# ვასტანგ ჭავერტაძე



## „კვლევითის“ დირექტორები



2008 წელს გამოცემული „ხსოვნის წიგნის“ მესამე ნაწილში მკითხველს შევპირდით, რომ მოვუთხრობდით გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორების შესახებ.

წინამდებარე, მცირემოცულობის წიგნში ვასრულებთ დანაპირებს და მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს გიორგი ბერძენიშვილის, ლევან ხარაჭიშვილის, უშანგი კოვზიაშვილის, რევაზ თევზაძის, ფარნაოზ სპარსიაშვილისა და გურამ ტორონჯაძის შესახებ (დართული აქვს ყოფილ თანამშრომლთა არასრული სია).

წიგნი გამოიცა აღნიშნული ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზაურ თეთრუაშვილის ინიციატივით და მხარდაჭერით.

**ავტორი**

**რედაქტორი დარეჯან ჭანკოტაძე**

**დიზაინერი შალვა მურადაშვილი**

## ტინასიტყვაობა

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ყოფილი საბჭოთა კავშირის პარტიულ-სამეცნიერო ხელმძღვანელობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომ მძღვავრი ბიძგი მიეცა ავტომატური გამზომ-საკონტროლო ხელსაწყობისა და წარმოების მართვის ავტომატიზირებული სისტემების მასიური შექმნა-დამუშავებისა და დანერგვისათვის.

ამ მხრივ, ომისშემდგომმა კაპიტალისტურმა სამყარომ (ინგლისი, საფრანგეთ, იტალია, აშშ, იაპონია და სხვა) მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს. კარგად გვახსოვს კომუნისტების ყბადაღებული მოწოდება „დავეწიოთ და გაუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“ – და გამოყოფილ იქნა მილარდობით თანხა, რათა უმოკლეს ვადაში შეემცირებინათ ზემოხსენებულ ქვეყნებთან ჩამორჩენა და ეწარმოებინათ კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქცია.

შეიქმნა სამინისტროები, გაერთიანებები, ტრესტები, სამართველოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, საპროექტო ორგანიზაციები, ცალკეული დარგობრივი ლაბორატორიები და ა.შ. სწრაფი ტექნიკით შენდებოდა ხელსაწყოთმშენებელი ქარხნები, მცირე წარმადობის საცდელი მინიქარხნები, საამქროები და ა.შ.

მოკლედ, მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა ციებ-ცხელებამ. სურვილი და მიზანი კი ერთი იყო — რადაც არ უნდა დამჯდარიყო, საჭირო იყო გაესწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისთვის.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში გაიხსნა სპეციალური ფაკულტეტები კადრების მოსამაღადებლად. საზღვარგარეთ კვალი-ფიკაციის ასამაღლებლად აგზავნიდნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხვოვან ჯგუფებს, იმართებოდა სემინარები, სიმპოზიუმები, გამოფენები და ა.შ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორია მოიცვა ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და სპეციალური სასწავლებლების ქსელმა. დასაქმდა მილიონობით ადამიანი. სამეცნიერო ცენტრები მეტწილად განლაგებული იყო ქვეყნის ევროპულ ნაწილში, თუმცა მნიშვნელოვანი ობიექტები იყო თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის – საქართველოშიც.

საქართველოში ჩამოყალიბებულ-ამოქმედებულ სამეცნიერო ორგანიზაციათა (თბილისი, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი და ა.შ.) შორის იყო გორის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ე.წ. „ნიდავტომატპრომი“, რომელსაც, შემდგომ, გორელებმა მოკლე სახელი გამოუგონეს და შეარქევს „კვლევითი“.

„ნიდავტომატპრომის“ („კვლევითის“) საწყისი დისლოგაციის ადგილად შერჩეულ იქნა გორში, სტალინის მოედანზე მდებარე, ახლადაშენებული დღევანდელი სამსარეო ადმინისტრაციისა და გორის მუნიციპალიტეტის ბრწყინვალე სამსართულიანი შენობა.

დაიწყო ახალი უწყების ჩამოყალიბებასთან განუყრელად და-კავშირებული ურთულესი საორგანიზაციო და სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტისა და აღსრულების პერიოდი.

„კვლევითის“ პირველი დირექტორის გიორგი ბერძენიშვი-



შენობა, რომელშიც დაირწა „ნიდაუტომატპრომის“ აკვანი

ლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს ამოცანას და სულ მოკლე დროში ქ. გორში (მაშინ გორს ჰქონდა ქალაქის სტატუსი) ნათლად გამოიკვეთა მომავალში მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის ძირითადი კონტურები.

პრობლემები კი, როგორც იტყვიან, თავზესაყრელი იყო: კადრების მოზიდვა (გორში ნაკლებად იყვნენ „კვლევითის“ პროფილის შესაბამისი სპეციალისტები, თუმცა ისინი მაქსიმალურად იყვნენ მიწვეული და ჩართული ახალი მიმდინარეობების სამეცნიერო ორგანიზაციის მოღვაწეობაში) თბილისიდან და მათი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ამ ეტაპზე, ეწ. „ჩამოსულებისათვის“ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ იჯარით აიღო ყოფილი სასტუმრო „ქართლის“ მეორე სართული), პარალელურად დაიწყო ინსტიტუტისათვის აღმინისტრაციული სახლისა

(ცხინვალის გზატკეცილი) და საცხოვრებელი ბინის (სტალინის ქუჩაზე, იმჟამად №24) მშენებლობები; მოსკოვში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაიგზავნა ორმოცამდე სპეციალისტი (ორ ეტაპად), რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის წარმატებულ საქმიანობაში.

„ნიდავტომატპრომი“ („კვლევითი“) მოწოდებული იყო შეექმნა საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები (როგორც ლაბორატორიული ისე საწარმოო დანიშნულების) და ავტომატური რეგულირებისა და მართვის ავტომატზირებული სისტემები და კომპლექსები საქართველოში პრიორიტეტული სამეცნიერო დარგებისათვის, როგორიც იყო: მსუბუქი მრეწველობა, ჩაის მრეწველობა, თამბაქოს წარმოება და თამბაქოს ნაწარმოს გამოშვება, რძის მრეწველობა, კოფეინის წარმოება, საკონსერვო მრეწველობა, მელვინეობა (პირველადი, მეორადი, სპირტების, ლიქიორების, კონიაკის, შამპანური და სხვა შუშეუნა ღვინოების წარმოება), ეთერზეთების წარმოება და მრავალი სხვა.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად „კვლევითში“, საწყის ეტაპზე, შეიქმნა შესაბამისი განყოფილებები და ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო და საპროექტო განყოფილებები, საცდელი მექანიკური საამქრო, სამონტაჟო-გამწყობი სამუშაოების განყოფილება, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სექტორები, საგეგმო და ეკონომეკური კვლევის განყოფილებები, გაფორმების (ბეჭდვა, აკინძვა, გამრავლება) და ქიმიური ანალიზის ლაბორატორიები, მომარაგების განყოფილება და მრავალი სხვა დამხმარეული თუ სექტორი. ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო

სპეციალური ლიტერატურით საკმაოდ მაღალ დონეზე აღჭურვილმა ბიბლიოთეკამ და საპატენტო სამსახურმა. მნიშვნელოვანი „ტეირთი“ აღო თავის თავზე საინფორმაციო განყოფილებამ, რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა უცხო ენიდან (ორი-სამი) საინფორმაციო მასალების მთარგმნელთა ჯგუფი.

მოკლედ, სულ რაღაც ერთ წელიწადში „ნიდავტომატპრომმა“, დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდობული დირექტორის, გიორგი ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, მიიღო სრულყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის სახე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ნიდავტომატპრომმას“ შესაბამისი კადრებით მომარაგებისათვის გორში ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, სადაც ამზადებდნენ ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალისტებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდას.

როგორც წესი, ინსტიტუტში წარმატებულად მოღვაწეობდა კომპაკტმირულ-პარტიულ-პროფექციული ორგანიზაციები, რომლებიც დირექტორისთან ერთად აკეთებდნენ ყველაფერს საერთო წარმატების მისაღწევად.

წარმატებები კი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. მოღვაწეობიდან 10-15 წლის შემდეგ ინსტიტუტის ნამუშავრებმა (ხელსაწყოებმა და სისტემებმა) უკვე მიიქციეს სერიოზული ყურადღება მთელი ყოფილი საჭიროა კავშირის ფარგლებში, ხოლო კიდევ ხუთიოდე წლის შემდეგ ინსტიტუტის სამუშაოებით დაინტერესდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ნიიავტომატპრომში“ სხვა-დასხვა წლებში მუშაობდა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებათა ექვსი დოქტორი და ოცზე მეტი კანდიდატი.

„ნიიავტომატპრომი“ ასევე წარმატებული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. ინსტიტუტის კალათბურთელები (გივი ედიშერაშვილის ხელმძღვანელობით), ფეხბურთელები (გივი შერმადინის თავკაცობით), მაგიდის ჩოგბურთელები (ვახტანგ ჭანკოტაძის თაოსნობით), მოჭადრაკები (დიდოსტატ იოსებ კრიხელის მეთაურობით) და სხვა აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო პირველობებში, თუ ოლიმპიადებზე და არაერთი სიგელი, დიპლომი და პრიზი ჰქონდათ მოპოვებული.



ვოკალური ტრიო: ვ. ჭანკოტაძე,  
ნ. სპარსიაშვილი, უ. საძაგლიშვილი.

არ შეიძლება თბილი სიტყვებით არ გავიხსენოთ „ნიიავტომატპრომის“ მუსიკალურ-საესტრადო ჯგუფი (ურან საძაგლიშვილი, ვახტანგ ჭანკოტაძე, გურამ სიხარულიძე, შამილ გაჩეჩილაძე, ნოდარ სპარსიაშვილი, რობერტ მანაშეროვი, ილია მალრაძე, ტარიელ

თეთვაძე, კაკო მაზმიშვილი და სხვები), რომელსაც არაერთხელ მიუნიჭებია სიამოვნება და სიხარული, როგორც მთლიანად სამეცნიერო კოლექტივისათვის, ისე ქალაქ გორის მოსახლეობისათვის (ფესტივალები, ოლიმპიადები, კონკურსები და ა.შ.).



ამ შენობაში დავაუკაცდა „ნიავტომატპრომი“. აქევე დამთავრდა მისი ისტორია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „ნიავტომატპრომმა“ ითამაშა ძალიან დიდი როლი გორისა და გორის რაიონის ტექნიკური ინტელიგენციის რიგების შევსებასა და სრულყოფაში.

ქ. გორი იქცა საქართველოს სამეცნიერო სფეროს ერთ-ერთ ცენტრად. ერთდროს გარეუბანი და უსარგებლო ბალახეულით დაფარული ე.წ. „წმინდა წყლის“ უბანი ჩამოყალიბდა როგორც ერთგვარი პატარა „აკადემიური ქალაქი“. ინსტიტუტები მომუშავე მეცნიერ-მუშაკების მიმართ, გორის მოსახლეობა იჩენდა დიდ ყურადღებას და მოწიწებით და პატივისცემით მოიხსენიებდნენ მათ. არც „პელევითელები“ რჩებოდნენ ვალში და ასეთ ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში ვითარდებოდა ახალგაზრდა ინსტიტუტი.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში კომუნისტურმა პარტიამ „ისროლა“ კიდევ ერთი ლოზუნგი-მოწოდება: „მეცნიერება წარმოებას“ და დაიწყო გამოცდილი და თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული კადრების „გადაქაჩვა“ ქალაქისა თუ რაიონის მნიშვნელოვან საწარმოსამეურნეო ობიექტებზე.

„ნიდავტომატპრომში“ აღზრდილმა, მაღალი დონის სპეციალისტებმა, სხვადასხვა წლებში წარმატებით იმუშავეს სხვადასხვა ორგანიზაციის, თუ ობიექტის დირექტორებად, მთავარი ინჟინრებად, მთავარ სპეციალისტებად, მთავარ ტექნოლოგებად და ა.შ.

სამწუხაროდ, 90-იანი წლების პოლიტიკურმა სიტუაციაში და საზოგადოებრივი ფორმაციის რადიკალური ცვლილებებით გამოწვეულმა კატაკლიზმებმა სასწორის პინაზე შეაგდეს „ნიდავტომატპრომის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი, რამაც ინსტიტუტი მიიყვანა საბოლოო განადგურებამდე ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ნიდავტომატპრომი“ („კვლევითი“) ისტორიას ჩაბარდა. ისტორიას ჩაბარდა უკვე კარგად ფესვებმომაგრებული ორგანიზაცია, რომლის ჩამოყალიბებაში და შემდგომ აღმასვლაში ლომის წილი მიუძღვის მის ექვს დირექტორს. სწორედ მათ ეძღვნებათ ეს პატარა წიგნი.

ავტორი

## გილრგი ბერძენიშვილი



**დირექტორი იძლევა დავალებებს (1958 წ.)**

დიდი სახელმწიფო იურიდიკური მნიშვნელობის საქმის დაწყებას უპირატესად ანდობენ თეორიული ცოდნისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანებს.

სწორედ ასეთ პიროვნებად იცნობდა საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება გიორგი (ჟორა) ბერძენიშვილს.

1956 წელს გიორგი ბერძენიშვილი დანიშნეს არარსებული ინსტიტუტის დირექტორად და დაავალეს უმოკლეს ვადაში, ქ. გორში დაეფუძნებინა (საფუძველი ჩაეყარა) საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ისიც, მისთვის ჩვეული აქტიურობით, შეეჭიდა უძნელეს საქმეს. სიძნელე კი მართლაც ბევრი იყო, რის შესახებაც ცოტა ქვემოთ გიამბობთ.

გიორგი ბერძენიშვილი დაიბადა 1910 წელს ჩოხატაურის



1943 წ.

მოადგილე, ხოლო 1948-1956

რაიონის ულამაზეს სოფელ  
შუა ფარცხმაში, გაბრიელ  
ბერძენიშვილისა (სასოფლო-  
სამეურნეო მანქანათმშენებე-  
ლი ქარხნის ექსპედიტორი)  
და კეკელა პაიჭაძის (დი-  
ასახლისი) ოჯახში. 1934  
წელს დაამთავრა სატყეო  
ტექნიკური ინსტიტუტი და  
მუშაობა დაიწყო თბილი-  
სის მანქანათმშენებელ ქა-  
რხანაში, სადაც იმუშავა  
სხვადასხვა თანამდებობა-  
ზე (ნორმადარი, საამქროს  
უფროსი, პარტკომის მდი-  
ვანი, ქარხნის დირექტორის  
წლებში ამავე ქარხნის დი-  
რექტორი).

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გიორგი ბერძენიშ-  
ვილი დაინიშნა ქარხნის კომისრად; 1942 წლიდან იბრძოდა  
სხვადასხვა ფრონტზე და აქტიურად მონაწილეობდა, რო-  
გორც საბრძოლო ოპერაციებში, ისე საფორტიფიკაციო აღმ-  
შენებლობაში. ომის დამთავრების შემდეგ, მრავალბრძოლ-  
აგამოვლილი მეომარი დაუბრუნდა მშობლიურ ქარხანას და  
მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ომით მიყენებული ჭრილო-  
ბების მოშუშების პროცესში.

დადგა 1956 წელი. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი წელი

გიორგი (ქორა) ბერძენიშვილის ცხოვრებაში. პარტიამ და ხელისუფლებამ მას დაავალა დიდი ისტორიული მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტა – „ცარიელ ადგილზე“ დაეფუძნებინა და აემოქმედებინა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „ნიავტომატპრომი“ (შემდეგ ამ ინსტიტუტს გორის მოსახლეობამ შეარქვა, უბრალოდ „კვლევითი“).

აქ გამოჩნდა გიორგი ბერძენიშვილის ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა, გამჭრიახობა ცხოვრებისული მდიდარი გამოცდილება და ადამიანებთან კეთილი და სამართლიანი ურთიერთობის საოცარი უნარი.

სულ რაღაც ორ წელიწადში (1956-1958) მისი ხელმძღვანელობით: შეიქმნა „ნიავტომატპრომის“ სტრუქტურა და მასში შემავალი სამსახურები, ლაბორატორიები, განყოფილებები, სექტორები, საპროექტო და საკონსტრუქტორო ბიუროები, საცდელი საამქრო, სატვირთო და სპეციალური ტრანსპორტის ავტოპარკი, აშენდა ინსტიტუტის ცენტრალური სამსართულიანი კორპუსი ცხინვალის გზატკეცილზე. (ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტი ფუნქციონირებდა მაშინდელი პარტიის საქალაქო კომიტეტის შენობაში (სტალინის მოედანზე); აშენდა 42-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (სტალინის გამზირზე) და ორი საცხოვრებელი კორპუსი (ცხინვალის გზატკეცილზე), დიდი ჯგუფი გაიგზავნა მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებელ პურსებზე, გორში გაიხსნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტით, ახლადგახსნილი ინსტიტუტისთვის სპეციალისტების მოსამზადებლად

და მრავალი სხვა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის გიორგი ბერძენიშვილს ქ. გორში სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის შექმნისა და ტექნიკური ინტელიგენციის ფენის ჩამოყალიბებაში.

„ნიდავტომატპრომის“ კედლებს გარეთ, ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებში, გიორგი ბერძენიშვილი გახლდათ საოცრად თავმდაბალი, მეგობრული და ყურადღებიანი კაცი, რომელიც, იმავდროულად დაჯილდოებული იყო საოცარი გურული ოუმორის ნიჭით. განსაკუთრებით უყვარდა ვიწრო, მეგობრულ წრეში ქართული სუფრის გაძლოლა. მშვენიერი თამადობა იცოდა და როცა საჭირო იყო გიტარაზეც ეხერხებოდა დაკვრა და მოლხენა. ყველა ოჯახისთვის სასურველ და საპატიო სტუმრად იყო მიჩნეული „კვლევითის“ დირექტორი და ისიც უანგაროდ ემსახურებოდა ყველას, საითაც „ხელი მიუწვდებოდა“. ერთი სამაგალითო თვისებაც ჰქონდა გიორგი ბერძენიშვილს – როგორ გვიანაც არ უნდა დამთავრებულიყო სუფრაზე მოლხენა, ის ყოველთვის, ცხრას რომ აკლდა ხუთი წუთი, სამუშაო მაგიდასთან იჯდა მოწესრიგებული, გემოვნებით ჩაცმული და სამუშაოდ განწყობილი; იყო საოცრად პუნქტუალური. ბევრს მუშაობდა, ყველაფერს თავის დროზე აკეთებდა და სხვებისგანაც იგივეს მოითხოვდა. ერთი თანამშრომელი სისტემატურად აგვიანებდა სამსახურში მისვლას. უამრავი საყვედური ჰქონდა მიღებული სიტყვიერიც და ბრძანებითაც, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ურჩი თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლებას სთხოვდნენ ბატონ გიორგის მისი მოადგილეები და პარტიული აქტივისტები, მაგრამ დირექტორმა სხვა გზა მონახა. დაიბარა კაბინეტში და დაინტერესდა იმით, თუ როგორ მიმდინარეობდა სამუშაოები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. საუბრის ბო-



გაფართოებულ თათბირზე (1960 წ.)

ლოს ბატონმა გიორგიმ ხელი ჩამოართვა და უთხრა: „ვიცი, რომ დღეს შენი დაბადების დღეა, მიიღე ჩემგან მცირედი საჩუქარი“ და გადასცა „მაღვიძარა“ საათი. იმის შემდეგ თანამშრომელს აღარ დაუგვიანია.

1961 წლიდან გიორგი ბერძენიშვილი სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს ხე-ტყისა და წის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

გიორგი გაბრიელის ძე ბერძენიშვილი გარდაიცვალა 1980 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

გიორგი ბერძენიშვილის ხსოვნას ინახავენ და მის ცხოვრებას აგრძელებენ შვილები გიორგი გიორგის ძე ბერძენიშვილი (ასოცირებული პროფესორი), ცისანა გიორგის ასული (პედაგოგი), ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

## ლევან ხარატიშვილი



ლევან ხარატიშვილი (მარცხნივ) მშენებლობის მინისტრთან,  
სოსო ხარატიშვილთან (1980-იანი წლები)

ლევან ხარატიშვილი ამაყად იდგა საქართველოს წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეთა რიგებში და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეპქონდა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. იგი ეკუთვნოდა იმ თაობას, რომლისთვისაც მთავარი გახლდათ საზოგადოების თითოეული წევრის განათლებულობა და შრომისმოყვარეობა. მას სწამდა, რომ ამ ორი ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელი იყო საზოგადოების ნორმალური განვითარება და მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევა.

გასული საუკუნის ოციან წლებში არცოუ ადვილი და ხელმისაწვდომი იყო განათლების მიღება, მაგრამ სწავლას მონატრებულმა ჭაბუკმა მაინც მიაღწია საწადელს და რამდენიმე ათეული წლის დაუდალავი სწავლითა და შრომით

მიაღწია უმაღლეს მწვერვალებს.

ლევან ნიკოლოზის ძე ხარატიშვილი დაიბადა 1907 წელს ქ. გორში. საწყისი განათლება მიიღო სკოლაში და შემდეგ კი ე.წ. ჰუმანიტარულ ტექნიკურში. ამით არ დაკმაყოფილებულა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. შემდეგ (1932 წ.) ლევან ხარატიშვილმა დაამთავრა თბილისის ენერგეტიკის ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი და საქართველო-საფასრიკო ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომით მუშაობა დაიწყო გორის მანქანა-ტრაქტორების საექსპლუატაციო სამსახურის განყოფილების გამგედ.

აქედან იწყება ლევან ხარატიშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ობიექტი, დიდი სამამულო ომის წლებში, უშვებდა და არემონტებდა საბრძოლო იარაღის ცალკეულ დეტალებს და მთლიან მოწყობილობებსაც კი. ომის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ქართვანა მუშაობდა დღედამურ რეჟიმში და თავისი წვლილი შეჰქონდა ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვების საქმეში.

ლევან ხარატიშვილის, როგორც ახალაგზრდა სპეციალისტის, ნიჭი და ტექნიკური შესაძლებლობები, თუ საქმის ორგანიზატორული ტალანტი, სრულად წარმოჩნდა გორის



1935-37 წ.წ.

საკონსერვო ქარხანაში მისი ოცდასამწლიანი მუშაობის პერიოდში. მან გაიარა რთული და საპასუხისმგებლო ეტაპები საამქროს ტექნიკური მუშაკიდან დირექტორობის თანამდებობამდე. მისი დირექტორობის დროს ქარხანამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს – განხორციელდა ქარხნის რეკონსტრუქცია, დაინერგა ახალი ტექნოლოგიური ხაზები, გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, გამდიდრდა გამომუშავებული პროდუქციის ასორტიმენტი, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, რამაც თავის მხრივ გაზარდა ექსპორტის მოცულობა. ქარხნის პროდუქციისადმი დიდი ინტერესი იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან (ევროპაში, კერძოდ კი ინგლისში დიდი მოთხოვნა იყო კაპლის და სხვა ხილის მურაბებზე). აღნიშნული წარმატებების მებაირახტრედ გვევლინებოდა უმაღლესი რანგის ინჟინერი, მაღალი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელმაც მიაღწია ტექნოლოგიური პროცესების მართვის ოპტიმიზაციას. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე მეტადორგინალური ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელთა დანერგვამაც მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქციის ხარისხი, გაუმჯობესა შრომის პირობები და ამაღლა შრომის ნაყოფიერება.

ლევან ხარატიშვილმა წარმოებაში დანერგა რამდენიმე საკუთარი გამოგონება და ათეულობით რაციონალიზატორული წინადაღება, რისთვისაც მიღებული ჰქონდა შესაბამისი პატენტები, მოწმობები და სიგელები.

გასული საუკუნის ორმოცდათოან წლებში ლევან ხარატიშვილს უკვე კარგად იცნობდნენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, როგორც ნიჭიერ და წარმატებულ პარტი-



**მუსლე რა რაზიკაშვილი (ვაჟა  
ფშაველას გვარის წარმომადგენელი)  
ვაჟიშვილ გურამისთან ერთად.**

ამიტომ იყო, რომ წარმატებულ მუშაკებს ხშირად უცვლიდნენ სამუშაო ადგილს და იქ გადაჰყავდათ სამუშაოდ, სადაც უფრო მეტად უჭირდა სახალხო მეურნეობის ამათუიმ დარგს.

ლევან ხარატიშვილი იყო სწორედ ის ადამიანი, ვისი მდიდარი სამეურნეო გამოცდილება და შრომის ორგანიზაციის ნიჭი სასიკეთოდ წააღვებოდა ნებისმიერ საქმიანობას. სწორედ ამიტომ დანიშნეს იგი გორში, ახლადჩამოყალიბებული ხელ-საწყოთმშენებელი ქარხნის დირექტორად.

რომ ამოცანების წინაშე დადგა ბატონი ლევანი — მას ბიძგი უნდა მიეცა და საფუძველი ჩაეყარა „ახალი ხილის“

ულ-სამეურნეო მუშაკს. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, ფულადი პრემიები, უამრავი სიგელი და დიბლომი კვების მრეწველობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა მილიონობით ადამიანი, მათ შორის ტექნიკური ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ომის შემდგომ წლებში იგრძნობოდა კარგი სპეციალისტების დეფიციტი.

წარმოებისათვის ქ გორში. ლევან ხარატიშვილმა სულ რაღაც ორიოდ წელიწადში პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული საქმე და გამართულადმომუშავე ქარხანა გადააბარა ახალ ხელმძღვანელობას.

ამჯერად (1960 წ.) ლევან ხარატიშვილი დაინიშნა ქ. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მისი მუშაობის პერიოდში ბევრ კარგი საქმე გაკეთდა ქალაქში: აშენდა მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა საავადმყოფო, ქალაქს შეეცვალა იერსახე, მოწესრიგდა ტრანსპორტის სამსახური, თვისობრივად შეიცვალა სპორტული ცხოვრება, მეტი ეფექტურობით ამუშავდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფერო და სხვა.

გამობრძედილი პარტიულ-სამეურნეო მუშაკი არც ამ თანამდებობაზე გააჩერეს დიდხანს.

1963 წელს ლევან ხარატიშვილი დაინიშნა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დიდ და ურთულეს ორგანიზაციას. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს: შეიქმნა მაღალი ექონომიკური ეფექტურობის მქონე ათეულობით ავტომატური კონტროლის ხელსაწყო, დაპროექტდა და წარმოებაში დაინერგა მრავალი მართვის ავტომატიზირებული სისტემა, გაიზარდა სამუშაოთა არეალი, საფუძველი ჩაეყარა ცალკეული ობიექტების ავტომატური მართვის ახალ ტექნოლოგიებს და პრინციპებს, გაუმჯობესდა თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, მტკიცე კავშირები დამკვიდრდა ხელსაწყოთმშენებელ ქარხანასთან,

ახალგაზრდა სპეციალისტები ყოველწლიურად იმაღლებდნენ კვალიფიკაციას სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში და ა.შ.

ლევან ხარატიშვილს ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიც უყვარდა. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იღია ჭავჭავაძის იმ სიტყვებზე, სადაც დიდი მწერალი და საზოგადო

მოღვაწე ხაზს უსვამს სწავლა-განათლებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ისტორიულ და ეროვნულ მნიშვნელობას: „...ამისთანა საქმეს, როგორიც ახალის სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯველი, საქმეში და ოსტატობაში — კაცი უნდა. ამისთვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას „გამოცდილებას“ მთელის თავისის ვრცელის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ რომ კაცს თავისი ცოდნა უნდა, თვითონ საქმეში ეცადოს და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს რა ბუნებასთანა აქვს საქმე და რა ზაღლხთანა. ადგილობრივის ბუნებისა, ხალხისა თუ არ იცის რა, იგი იმისთანა



ქალიშვილი მარინა დედასთან ერთად

საქმეშიც, როგორც ახლის რისამე გასაჩენად შემოქმედებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. არაერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახვებია ჩვენთვის, რომ უიმისოდ, რაცა ვსთქვით, ხელიდამ არაფერი გამოსვლია კაცს და საქმისთვის ის ვნებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუვებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა“ („ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“: 1887 წ).

თავისი ორგანიზაციული და ნოვატორული ნიჭი „ნიიავტომატპრომშიც“ ნაყოფიერად გამოიყენა და წარმოებაში დანერგა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოგონება. სიცოცხლის ბოლო წლებამდე განაგრძობდა მუშაობას უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. განთავისუფლდა რა დირექტორობის ორგანიზაციული მართვის სფეროდან, მან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენა ჩაის მრეწველობის სრულყოფისათვის. მას მიუძღვის ლომის წილი მწვანე ჩაის ფიქსაციის ურთულესი პროცესის ტექნოლოგიური ციკლის ავტომატიზირებული მართვის სისტემაში ინფრასტრუქტურის სხივების გამოყენებისა და ამით ქართული ჩაის ხარისხის ამაღლებაში. ლევან ხარატიშვილი იყო მრავალი მნიშვნელოვანი ნოვაციის ავტორი.

ბატონი ლევან ხარატიშვილი მუდამ ზრუნავდა ახალგაზრდებზე. ყოველთვის მზად იყო მათთან კეთილი და გულთბილი დამოკიდებულებისათვის. უყვარდა მათთან ერთად ექსკურსიებზე წასვლა და საქართველოს ისტორიული ღირსშესანიშნაობების მონახულება. პურმარილიც და მოლხენაც ეხერხებოდა მეგობრების წრეში. მუდამ მზად იყო მხარში ამოდგომოდა გაჭირვებულებს. ვინც მას ახლოს იცნობდა, აუცილებლად იგრძნობდა

მის დიდ ადამიანურ სითბოს. საქმიანობაში იყო პრინციპული და მომთხოვნი. გადაცდომების შემთხვევაში შეეძლო ხმამაღლა დაეტუქსა თანამშრომელი, თუმცა წყენას მაღევე ივიწყებდა.

იცოდა კარგი მეგობრობა ამ სიტყვის სრული გაგებით. ყველაზე ძალიან სძულდა სიტყვა „ღალატი“.

ახალგაზრდობაში გახლდათ კარგი სპორტსმენი (ტან-მოვარჯიშე) და არც ასაკშიშესული ივიწყებდა სპორტს. დიდი გულშემატკივარი იყო ქართული ფეხბურთის და კალათბურთის, თუმცა დრო იშვიათად ჰქონდა სტადიონზე დასასწრებად.

ბრწყინვალე ოჯახი შექმნა ლევან ხარატშვილმა ქალბატონ ირინა რაზიკაშვილთან ერთად. ოჯახი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით. ვის აღარ შეხვდებოდით ამ ოჯახში: მეცნიერებს, მწერლებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, პარტიულ-სამეურნეო მუშაკებს, სპორტსმენებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მინისტრებს და ა.შ.

ასეთ საზოგადოებაში გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ ლევან ხარატიშვილისა და ირა რაზიკაშვილის ვაჟი გურამი (აკადემიკოსი) და მარინა (პედაგოგი, უცხო ენათა სპეციალისტი).

ლევან ხარატიშვილი გარდაიცვალა 1992 წელს. დაკრძალულია გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

## უშანგი კოვჭიაშვილი


ქ. გორის ტექნიკური ინ-  
ტელიგენციის ღირსეული  
წარმომადგენელი, წარმატე-  
ბული ორგანიზატორი და  
მეცნიერ-თანამშრომელი, გა-  
მომგონებელი და რაციონა-  
ლიზატორი, საზოგადოებრი-  
ვი მოღვაწეობის აქტიური  
წევრი, მთარგმნელი და  
პუბლიცისტი, უერთგულესი  
მეოჯახე, საყვარელი მამა,  
პაპა და მეუღლე – ასე-  
თად იცნობდა საზოგადოება

გარეგნულადაც მიმზიდველს

და სრულყოფილს, უშანგი კოვჭიაშვილს;

უშანგი არჩილის ძე კოვჭიაშვილი დაიბადა 1933 წლის 2 ივლისს ქ. გორში, მოსამსახურეთა ოჯახში.

მამა, არჩილ ალექსის ძე იყო სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამიერკავკა-სიის რკინიგზის სხვადასხვა მონაკვეთების აღმშენებლობისა  
და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის სახ-  
ელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში. სიცოცხლის ბოლო  
წლებში მუშაობდა წამყვან სპეციალისტად ქ. გორის არქიტე-  
ქტურის განყოფილებაში.



დედა, ელენე დიმიტრის ასული ფიდაშვილი გახლდათ კანცელარიის ტექნიკური მუშაკი. ცნობილი იყო, როგორც კარგი დიასახლისი.

უშანგი კოვზიაშვილი 1948 წლამდე სწავლობდა თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1951 წელს და მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისაღები გამოცდები ჩააბარა ბრწყინვალედ და მაშინვე მიიპყრო ლექტორთა ყურადღება. იგი სასწავლებლად გააგზავნეს კავშირგაბმულობის მოსკოვის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტ-



უშანგი კოვზიაშვილი (მარჯვნიდან პირეული) „ნიავტომატპრომის“  
თანამშრომლებთან ერთად. 1956 წ.



1980-იანი წლები.

ში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1956 წელს. ამავე წელს მუშაობა დაიწო გორში ახლადგახსნილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში („ნიავტომატპრომი“).

უშანგი კოვზიაშვილმა ასევე წარმატებით გაიარა (1957წ.) ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსი. „ნიავტომატპრომში“ სრულად გამოჩნდა უშანგი კოვზიაშვილის ნიჭი და მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობები. თითქმის ყველა სამეცნიერო თუ ტექნიკურ თანამდებობაზე იმუშავა, დაწყებული მე-3 კატეგორიის ინჟინრიდან და დამთავრებული დირექტორობით (1974-1977 წ.წ.).

რომელ ლაბორატორიაში, თუ განყოფილებაშიც კი იმუშავა, ყველგან და ყოველთვის ამჟღავნებდა ნებისმიერი პრობლემისადმი ნოვატორულ მიღვომას. მუდამ ახლის ძიებაში იყო და შედეგიც არ აყოვნებდა – იყო ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის, გამოგონებისა და რაციონალური წინადადების ავტორი.

1978 წლიდან მუშაობდა ანალიზური ხელსაწყოთმშენე-

ბლობის თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს გორის ლაბორატორიის გამგედ.

1984 წლიდან, გამოჯანმრთელების შემდეგ, სამუშაოდ დაბრუნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სარეზერვო კომიტეტის საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოში და ჩაიბარა კომბინატ „იუნის“ მთავარი ინჟინრის პოსტი, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

უშანგი კოგზიაშვილს, როგორც მეცნიერ-მუშაკს, განსაკუთრებით აინტერესებდა ანალიტიკური ხელსაწყოთმშენებლობა. სწორედ ამ სფეროში მიაღწია მან მნიშვნელოვან წარმატებებს. აი მცირე ჩამონათვალი იმ საკითხების, რომლებზედაც ინტენსიურად მუშაობდა იგი: „ფოტომეტრი“. „კაგატების თერმო-ტენური დამუშავების პროცესის ავტომატური მართვის მოწყობილობა“, „ფოტოელექტრული გადამწოდი“, „სუ-102 ტიპის ხელსაწყოს სქემისა და კონსტრუქციის უნიფიცირება“, „ფოტოელექტრული გადამწოდის კონსტრუქციის მოდერნიზაცია“, „სიმძლავრის გამაძლიერებლები“, „სუფ-42“ ტიპის ხელსაწყოს ელექტრული სქემის სრულყოფა“, „ტვირთმზიდი უნივერსალური მოწყობილობა“, „ჰელიოლანდგარები“, „ჰიგრომეტრები“, „ფოტოელექტრული ავტომატები“, „წყალში მცირე მარილშემცველობის საზომი ხელსაწყო“, „არაელექტრული სიდიდეების გაზომვის უკონტაქტო სისტემები ნახევარგამტარების გამოყენებით“, „ჰარხლის შენახვის ტემპერატურული რეჟიმის ავტომატური კონტროლი“ და სხვა.

უშანგი კოგზიაშვილი იყო უწესიერესი და უპატიონესი

ადამიანი. იგი თხემით-ტერფამდე, სულით და ხორცით არის-ტოკრატი იყო. თავისი შინაგანი კულტურით და გამორჩეული გარეგნობით, რომელსაც თეთრად გადაპენტილი თმა ამშვენებდა, ყოველთვის ექცეოდა შინაურთა თუ უცხოელთა ყურადღების ცენტრში.

ერთ-ერთი სასტუმროს ვესტიბიულში, უშანგის დახვეწილი გარეგნობით მოხიბლულმა რუსმა ქალბატონმა ისლა მოახერხა, რომ შეკითხოდა უშანგის „Вы иностранец, с какой страны“ უშანგიმ დამახასიათებელი ღიმილით უპასუხა: „Да, иностранец но из солнечной Грузии“.

უშანგი კოვზიაშვილის ხმამაღალი საუბარი ან უწმაწური სიტყვები არავის გაუგონია. იყო ყველას მიმართ კეთილი და მეგობრული.

საქმეში კი მომთხოვნი, სამართლიანი და პრინციპული.

მისი ჰობი იყო ობიექტურობა და სამართლიანობა. ბალიან პრინციპული და მკაცრი მომთხოვნი იყო ყოველთვის, როდე-საც საქმე ეხებოდა დავალების შესრულებას.

1976-77 წლებში უშანგი კოვზიაშვილი გახლდათ ქ. გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

აღსანიშნავია, რომ გარდა სამეცნიერო-ტექნიკური და პარტიულ-სამეცნიერო მუშაობის შესაშური უნარისა, უშანგი კოვზიაშვილი დაჯილდობული იყო პოეტური ნაწარმოებების თარგმნის ნიჭით.

ოჯახის წევრების გადმოცემით მას ბევრი ლამე აქვს გათენებული ლექსების სიყვარულში. თავადაც წერდა თურმე

ლექსებს ბავშვობაში, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არ ახმაურებდა. აი, თარგმანები კი მრავლად დაიბეჭდა სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში. მას თარგმნილი აქვს (ქართულიდან რუსულად) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების უმრავლესობა, ასევე ჯემალ ინჯიას, ნიკო სამადაშვილის ლექსები, ვაჟა დადიანიძის პიესა და მრ. სხვა. რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვს ისეთი პოპულარული წიგნები, როგორიცაა „რადიო – ეს უბრალოა“ და „ტელევიზია – ეს ძალიან მარტივია“ და სხვა.

სამწუხაროდ ავადმყოფობისა და სხვა გარემოებების გამო უშანგი კოვზიაშვილს არ მიეცა შრომების წიგნებად გამოცემის საშუალება. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი გატაცებული იყო მხატვრობითაც.

უშანგი კოვზიაშვილი გარდაიცვალა 1992 წელს. დაკრძალულია გორში. მან ქვეყანას დაუტოვა სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

## რევაზ თევზაძე

გასული საუკუნის  
სამოცდაათიანი წლების  
ბოლოს ყოფილ საბჭოთა  
კავშირში განსაკუთრებული  
ყურადღება დაეთმო  
საწარმოო პროცესების  
ავტომატიზაციისა და ახ-  
ალი ციფრული ტექნიკით  
აღჭურვილი მართვის ავ-  
ტომატიზირებული სისტე-  
მების დაპროექტებისა და  
დანერგვის პრობლემებს.  
ამ მომენტისათვის სა-  
მეცნიერო დაწესებულებების  
სელმძღვანელებს  
მოეთხოვებოდათ არა მხ-  
ოლოდ კარგი სამეცნიერ  
ორგანიზატორული უნა-  
რის ფლობა, არამედ მეცნიერული პრობლემატიკის კარგი ცოდნა  
და მუშაობის სანგრძლივი გამოცდილებაც. სწორედ რომ ასეთი  
კანდიდატურა გახლდათ რევაზ თევზაძე, რომელიც „ნიდავტომატ-  
პრომის“ დირექტორად დაინიშნა 1977 წლის მეორე ნახევარში.

რევაზ თევზაძის დირექტორობის პერიოდში (1977-1987 წ.წ.)  
„ნიდავტომატპრომში“ დაინერგა კვლევის ახალი მეთოდები, შემ-  
ცირდა სამეცნიერო მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის ვადე-



მარცხნივ რევაზ თევზაძე.

წინა პლანზე მშობლები: მერი კარტოზია  
და ალექსანდრე თევზაძე

ბი, დამუშავებულმა სისტემებმა, კომპლექსებმა თუ ანალიტიკურმა ხელსაწყოებმა სრულად დაკმაყოფილეს იმდროისათვის არსებული მოთხოვნები, რამაც საშუალება მისცა ინსტიტუტს გაეზარდა საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტი. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც „ნიავტომატპრომის“ მიერ შექნმილი ავტომატიზაციის საშუალებებზე (განსაკუთრებით ანალიტიკურ ხელსაწყოებზე) საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

რევაზ ალექსანდრეს ძე თევზაძე დაიბადა საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა ოჯახში.

მამა, ალექსანდრე თევზაძე გახლადათ ფრიად განსწავლული ინჟინერ-ეკონომისტი, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამუშაო სფეროში.

დედა, მერი კარტოზია იყო სამედიცინო დარგის ღირსეული მუშაკი. მუშაობდა რა ექიმ-თერაპევტის თანამდებობაზე, მრავალი შეუძლოდმყოფი ადამიანისთვის მიუცია შვება და სიხარული.

რევაზ თევზაძემ დაამთავრა ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლა (1943წ), რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა მოსკოვის ერთერთ სამხედრო აკადემიაში.



რევაზ თევზაძე – ოფიცერი

პირად არქივში შემონახულია მასალები, რომლებიც მეტყველებენ მის წარმატებულ სწავლაზე აღნიშნულ აკადემიაში. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ, იგი სამუშაოდ დატოვეს ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ სამხედრო დაწესებულებაში ქ. მოსკოვის მახლობლად.

რევაზ თევზაძეს ყოველთვის მოუწევდა გული სამშობლოსაკენ და 1951 წელს დაბრუნდა კიდეც თბილისში. არ იკმარა მიღებული ცოდნა-განათლება და დამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. არც ამით დაკმაყოფილდა და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში.

რევაზ თევზაძემ 1964 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

შემდეგ კი დაიწყო რევაზ თევზაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ხანგრძლივი და განსაკუთრებულად ნაყოფიერი მუშაობის პერიოდი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ და სხვ. სპეციალობის მიხედვით მუშაობის პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს.

დრო გადიოდა და თანდათან ყალიბდებოდა დიდი შესაძლებლობების მქონე მეცნიერ-ორგანიზატორი. რევაზ თევზაძე იყო ათეულობით სამეცნიერო შრომისა და ორიგინალური გამოგონებების ავტორი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, უამრავი დიპლომი, სიგელი, პრემია და სხვ.

1977 წელს რევაზ თევზაძე დაინიშნა საწარმოო პროცეს-



რევაზ თევზაძე. 1980-იანი წლები

გარეგნულად მიმზიდველი და სიმპატიური, დაბალი და წყნარი ხმით მოსაუბრე, უაღრესად დახვეწილი მანერებით და ყველასა და ყველაფრისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამამახვილებელი – დიდ პატივისცემას იმსახურებდა, როგორც თანამშრომლების, ისე უცხო და უცნობი ადამიანების შერიდნაც.

თითითსაჩვენებელი ოჯახი შექმნა რევაზ თევზაძემ ქალბატონ ელენე ლორთქიფანიძესთან ერთად (1953წ.).

რევაზ ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა 1994 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

მშვიდად შეუძლია იძინოს სამშობლოს კურთხეულ მიწაში. მის სახელს არასოდეს დაივიწყებს მონაგარი – შვილები, დავითი და ირინა, შვილიშვილები ნინო, ანი, ბაია, ალექსანდრე (საშა).

ების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ნიიავტომატპრომის“) დირექტორად და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – ინსტიტუტში დაიწყო მოღვაწეობის თვისობრივად ახალი ეტაპი.

ყოველდღიურ ცხოვრებაში საოცარ სითბოს ამჟღავნებდა ადამიანებთან ურთიერთობაში. ყველასთან ცდილობდა სიახლოვეს. იყო საოცრად დახვეწილი კულტურის პატრონი.

## ფარნაოზ სპარსიაშვილი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში სიტყვა „ინჟინერი“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონში – „ინჟინერი“) განმარტებულია, როგორც უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე ადამიანი.

